საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 1 20 0001134447

30/11/2020

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში მიმდინარე წლის 25 ნოემბერს შემოვიდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს N1123269 კორესპონდენცია, რომელიც ეხება 2021-2022 სასწავლო წლისათვის რუმინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების მოქალაქეებისათვის გამოცხადებული სტიპენდიების შესახებ ინფორმაციას.

რუმინეთის მხარის ინფორმაციის თანახმად გაცნობებთ, რომ კანდიდატის განაცხადი რუმინულ მხარეს უნდა მიეწოდოს საქართველოში რუმინეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის გავლით, არაუგვიანეს 2021 წლის 5 მაისისა. აპლიკანტს შეუძლია, რუმინეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებში აირჩიოს სწავლების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხური, გარდა მედიცინის, სტომატოლოგიისა და ფარმაკოლოგიის მიმართულებებისა. საბაკალავრო და სამაგისტრო კურსებზე სწავლების ენა მხოლოდ რუმინულია.

სადოქტორო საფეხურზე სწავლების ენაა რუმინული ან ინგლისური. აპლიკანტს, რომელიც არ ფლობს რუმინულ ენას სწავლის დაწყებამდე შეუძლია გაიაროს რუმინული ენის 1 წლიანი მოსამზადებელი კურსი. შერჩეული კანდიდატების ვინაობა ცნობილი გახდება მომდევნო წლის 15 ივნისამდე. რუმინეთის უმაღლეს სასწავლებლებში აკადემიური წელი დაიწყება 1 ოქტომბერს. სტიპენდია ითვალისწინებს სწავლის საფასურისა და საცხოვრებლის დაფინანსებას და ყოველთვიურ ფინანსურ ანაზღაურებას.

დეტალური ინფორმაცია სტიპენდიების შესახებ იხილეთ შემდეგ ვებგვერდზე: http://mae.ro/en/node/10251.

სასტიპენდიო პროგრამით დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ, გაავრცელოთ თქვენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52
52 Dimitry Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia
ტელ/Tel.: (+995 32)2 200 220

პატივისცემით,

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების
განვითარების დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
წერეთელი ნინო